

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №14

ქ. თბილისი

02.11.2016

სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

ნიკოლოზ ჩაჩხიანი - პროფესიული განათლების ექსპერტი, Chemonics International, სხდომის თავმჯდომარე;

ირაკლი ზაიდაშვილი - საქართველოში ამერიკის სავაჭრო პალატის ვიცე-პრეზიდენტი და ხაზინადარი, GMT group -ის ვიცე პრეზიდენტი, საბჭოს მდივანი;

მაია ჩიხლაძე - ა(ა)იპ - საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი, შპს „საზოგადოებრივ კოლეჯ პანაცეას“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს სხდომის მდივანი;

მამია ჯანჯალია - სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის მოადგილე;

ირაკლი პეტრიაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების თავმჯდომარე.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ლევან მადათოვი - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს უფროსი;

ანა ლელაძე - საერთაშორისო აკრედიტაციისა და ავტორიზაციის სამმართველოს სპეციალისტი.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს ქუთაისის სამედიცინო სკოლის წარმომადგენლები:

გიორგი კაჭახიძე - დირექტორი.

ა(ა)იპ - ახალციხის საზოგადოებრივი კოლეჯის წარმომადგენლები:

ზურაბ ბერიძე - დირექტორი;

რევაზ სანდროშვილი - ხარისხის მართვის მენეჯერი;

ხათუნა ინდუაშვილი - პროგრამის ხელმძღვანელი.

შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის წარმომადგენლები:

სოფიო მაჭარაშვილი - დირექტორი;

ალინა კუპრავა - ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი.

შპს ორიენტირის წარმომადგენლები:

ეკატერინე გიგაშვილი - შპს ორიენტირის წარმომადგენელი;

შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ლიდერის წარმომადგენლები:

ნანა ხიზანიშვილი - დამფუძნებელი.

ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):

შორენა ჯაფარიძე;
ეკატერინე გიგაშვილი;
ქეთევან ჯანელიძე;
თეა შაყულაშვილი;
თამარ რემიშვილი;
მაია დანელია;
მადონა გოგობერიშვილი;

საბჭოს სხდომა დაიწყო 14:20 საათზე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს წევრმა, ნიკოლოზ ჩაჩხიანმა.

სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნა, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. შპს ქუთაისის სამედიცინო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. ა(ა)იპ - ახალციხის საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა;
4. შპს ორიენტირისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა;
5. შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ლიდერისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.

შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი. შესაბამისად, საბჭოს წევრებმა წარმოდგენილი სახით ერთხმად დაამტკიცეს სხდომის დღის წესრიგი.

1. შპს ქუთაისის სამედიცინო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ შორენა ჯაფარიძემ.

საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით დაფიქსირდა შემდეგი ხარვეზები:

ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებას ავტორიზაციისათვის წარმოდგენილი ჰქონდა ორი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა:

პროგრამების და სილაბუსების გადამოწმების შედეგად დადგინდა:

- პრაქტიკოსი ექთნის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენდა 2 წელიწადს, რომელიც დაყოფილი იყო 4 სემესტრად. პროფესიულ სტუდენტს პირველ სემესტრში უნდა დაეგროვებინა 35 კრედიტი, მეორეში 40, მესამეში 35, ხოლო მეოთხეში 40 კრედიტი. შპს ქუთაისის სამედიცინო სკოლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულების მე-3 მუხლის 3.3 პუნქტის შესაბამისად თითოეული სემესტრი მოიცავდა 20 კვირას. შესაბამისად, სტუდენტის კვირეული დატვირთვა პირველ და მესამე სემესტრებში შეადგენდა -43.75 საათს, ხოლო მეორე და მეოთხე სემესტრებში -50 საათს, რაც ეწინააღმდეგებოდა საქართველოს შრომის კანონმდებლობას;
- ორივე პროგრამის სილაბუსებში წარმოდგენილი შეფასების სისტემა იყო იდენტური და მოიცავდა შემდეგ კომპონენტებს: აქტივობა-30 ქულა, შუალესური გამოცდა-30 ქულა, დასკვნითი გამოცდა-40 ქულა, ყველა სილაბუსში წარმოდგენილი შეფასების სისტემა, მიუხედავად იმისა ითვალისწინებდა სილაბუსი თეორიულ ცოდნას თუ პრაქტიკული უნარების გამომუშავებას, შეფასების ინსტრუმენტად გამოყენებული იყო ტესტები;
- სილაბუსებში წარმოდგენილი იყო სწავლების მრავალრიცხოვანი მეთოდები, თუმცა რიგ შემთხვევებში არ იყო სილაბუსის შინაარსის შესაბამისი, მაგ: საწარმოო პრაქტიკის სილაბუსში სწავლების მეთოდებში მითითებული იყო: წიგნზე მუშაობა, წერიტი მუშაობა, სიტუაციური ამოცანები, როლური თამაშები;
- სილაბუსის თემატიკის ნაწილში არ იყო მითითებული შუალედური და დასკვნითი გამოცდის ჩატარების პერიოდი (კვირა) და თითოეულისათვის განკუთვნილი საათების რაოდენობა;
- „პრაქტიკოს ექთნის“ მეხუთე საფეხურის პროფესიული პროგრამის სილაბუსების ნაწილში (მაგ: „საექთნო საქმე 1-2“, „თერაპია, თერაპიული ავადმყოფის მოვლა“) სტუდენტის მიერ მისაღწევი შედეგების კვალიფიკაციის აღმწერის დონე შეესაბამებოდა მესამე საფეხურის კვალიფიკაციათა აღმწერს, ხოლო ფარმაცოლოგიის სილაბუსი შეესაბამებოდა შინაარსით სხვა პროგრამის პროფესიულ სტანდარტს, კერძოდ „ფარმაცევტის თანაშემწის“ სტანდარტს;
- ფარმაცევტის თანაშემწის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში წარმოდგენილი მისანიჭებელი კვალიფიკაციის დასახელება არ შეესაბამებოდა პროფესიულ სტანდარტში

- წარმოდგენილ დასახელებას. ვიზიტის პერიოდში დირექტორის 2016 წლის 14 სექტემბრის № 72 ბრძანებით მოხდა ცვლილება და კვალიფიკაციის დასახელება შეიცვალა და ჩამოყალიბდა შემდეგნაირად „ფარმაცევტის თანაშემწის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია“;
- დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სილაბუსების ძირითად ნაწილში საკონტაქტო საათები იყო თითქმის თანაბარი დამოუკიდებელი საათებისაგან, რაც ხელს არ შეუწყობდა პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავებას.

მატერიალურ რესურსთან მიმართებით დაფიქსირდა შემდეგი გარემოებები:

- დაწესებულებას იჯარით ჰქონდა აღებული ფართი, რომელიც მდებარეობდა ქ. ქუთაისში: მ. დვალისშვილის № 13, ხელშეკრულება დადებული იყო 2016 წლის 11 აპრილს, 11 წლის ვადით. დაწესებულების მიერ იჯარით აღებული ფართი მოიცავდა სამ შენობას: 1. ორსართულიანი შენობა №1-1088,86 კვ.მ, 2. ორსართულიანი შენობა №2-302,6 კვ.მ, 3. ერთსართულიანი შენობა №3-812,48 კვ.მ. საერთო ფართის შეადგენდა - 2203,94 კვ.მ. აღსანიშნავი იყო, რომ „ფარმაცევტის თანაშემწის“ პროგრამის სილაბუსების პრაქტიკული ნაწილის განხორციელებისათვის საჭირო სათანადო ინვენტარი, ტექნიკური აღჭურვილობა, მითითებულ ფართზე არ ფიქსირდებოდა. რაც შეეხებოდა „პრაქტიკოსი ექთნის“ პროგრამას, დაწესებულებას ჰქონდა პულსოქსიმეტრი, ზედა კიდურის მულთაჟი, ასევე ზოგ სასწავლო აუდიტორიაში გამოკრული იყო პლაკატები. საწარმოო პრაქტიკის განხორციელების მიზნით დაწესებულებას 5 წლის ვადით გაფორმებული ჰქონდა მემორანდუმები შემდეგ დაწესებულებებთან: შპს ქუთაისის დ. ნაზარიშვილის სახელობის საოჯახო მედიცინის და საოჯახო მედიცინის რეგიონალური სასწავლო ცენტრი; შპს ლერი ხონელიძის სახელობის კლინიკა; ქუთაისის წმ. დავით აღმაშენებლის ქსენონი და სხვა. მემორანდუმებში მითითებული არ იყო თუ რომელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საწარმოო პრაქტიკის გავლა იქნებოდა განხორციელებული აღნიშნულ პრაქტიკულ ობიექტებზე;
- შენობა №2 -ის პირველ სართულზე მდებარე სამ ოთახს ჰქონდა მეორადი განათება, ვინაიდან ნათდებოდა დერეფნიდან. ასევე შენობა №2 და №3 -ის შიგნით არ იყო სველი წერტილები, ისინი გატანილი იყო გარეთ და ემიჯნებოდნენ შენობა №3;
- ორსართულიან შენობა 2-ის ასასვლელ კიბეზე არ იყო პანდუსები, დაწესებულების რექტორის განმარტებით შენობა 2-ის მეორე სართულზე სსსმ პირთათვის მეცადინეოები არ იყო გათვალისწინებული. ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში გამოცემულ იქნა რექტორის 2016 წლის 13 სექტემბრის №71 ბრძანება, რომლის შესაბამისად დაწესებულების შენობა 2-ის მეორე სართულზე სსსმ პირთათვის მეცადინეო არ ჩატარდებოდა;
- დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განვითარების გრძელვადიან (ექვსწლიანი) და ერთწლიან სამოქმედო გეგმებში არ იყო მითითებული რომელ წლებს შეეხებოდა გეგმები და მათში წარმოდგენილი ღონისძიებები. არ იყო მითითებული პასუხისმგებელი პირები, ინდიკატორები. ვიზიტის პერიოდში რექტორის 2016 წლის 13 სექტემბრის №70 ბრძანების საფუძველზე გეგმებში შეტანილ იქნა ცვლილებები და მიეთითა წლები.

ადამიანურ რესურსთან მიმართებით დაფიქსირდა შემდეგი გარემოებები:

- დაწესებულების დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულებას არ ჰქონდა გაწერილი პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის კვალიფიკაციის მიმართ მოთხოვნები, მათ მიერ სამუშაოზე აყვანისას წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა, პერსონალის შერჩევის წეს. მითითება იყო მხოლოდ ვებ გვერდზე იმის თაობაზე, რომ თანამშრომელთა მიღება მოხდებოდა გასაუბრების საფუძველზე. თუმცა პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმეების და მათთან დადებული ხელშეკრულებების ანალიზის

შედეგად ჩანდა, რომ პერსონალის შერჩევა ხორციელდებოდა კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვით. მიუხედავად ამისა ხელშეკრულებებში არ იყო განსაზღვრული კონკრეტულად რომელი საგნის განხორციელება ევალებოდა პროფესიულ მასწავლებელს.

ექსპერტმა დაამატა, რომ მიუხედავად პროგრამულ და მატერიალურ ნაწილში დაფიქსირებული ხარვეზებისა, დაწესებულებამ იმუშავა, წარმოადგინა ახალი დოკუმენტაცია რის შედეგადაც დაფიქსირებული ხარვეზები აღმოფხვრილ იქნა.

საბჭოს წევრმა მამია ჯანჯალიამ განაცხადა, რომ მიუხედავად იმისა რომ წარმოდგენილი ახალი დოკუმენტაციით გამოსწორებული იყო ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაფიქსირებული ხარვეზები, თავსებადი იყო თუ არა ვიზიტის შემდგომ გამოსწორებული დოკუმენტაცია კანონმდებლობასთან და შესაძლებელი იყო თუ არა მათი მხედველობაში მიღების დაშვება.

ცენტრის წარმომადგენელმა ლევან მადათოვმა განმარტა, რომ ცენტრმა იხელმძღვანელა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით, კერძოდ საბჭო ვალდებული იყო შეესწავლა ყველა ის დოკუმენტაცია და გარემოება რომელზე დაყრდნობითაც შემდგომ უნდა მიეღო გადაწყვეტილება და აღსანიშნავი იყო ასევე ის გარემოება, რომ დებულების თანახმად ავტორიზაციისას მხედველობაში არ მიიღებოდა ის დოკუმენტი რომელიც შემუშავებული იქნა ვიზიტის შემდეგ. თუმცა მსჯელობის საგანს წარმოადგენდა ის შემუშავებულ იქნა სრულიად ახალი დოკუმენტი თუ სახეზე იყო ძველის მოდიფიკაცია. საბჭოს ევალებოდა გაეაზრებინა რამდენად მნიშვნელოვანი იყო აღნიშნული დოკუმენტაცია გადაწყვეტილების მისაღებად.

სხდომის მდივანმა კითხვით მიმართა ექსპერტს და სთხოვა განემარტა გადმოგზავნილი დოკუმენტაცია იყო ახალი თუ ძველის გაუმჯობესებული ვარიანტი, ვინაიდან საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ საშუალება გაცნობოდნენ დოკუმენტაციას.

ექსპერტმა განაცხადა, რომ აღნიშნული დოკუმენტაცია გახლდათ ყველა ის დოკუმენტი რომელიც არსებობდა ხარვეზებით და შემდგომ მოხდა მათი გამოსწორებული სახით წარმოდგენა. მაგალითად: სასწავლო გეგმა, ხელშეკრულებები და ა.შ.

სხდომის მდივანმა მიმართა ცენტრის წარმომადგენელს სამომავლოდ მომხდარიყო დამატებითი გამოსწორებული დოკუმენტაციის მიწოდება საბჭოს წევრებისათვის რათა მათ ჰქონოდათ მათთან გაცნობის საშუალება.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა თუ რამდენი პროფესიული სტუდენტის ადგილის განსაზღვრას ითხოვდა დაწესებულება.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ წინა ავტორიზაციით მათ განსაზღვრული ჰქონდათ 875 ადგილი. აღნიშნულ ეტაპზე მიუხედავად იმისა, რომ მათ დაიმატეს ფართი მათი მოთხოვნა იქნებოდა 500 ადგილის განსაზღვრა ორ ცვლაში.

ექსპერტმა განმარტა, რომ ვინაიდან იყო საგნობრივი პროგრამები უნდა დაფიქსირებულიყო საერთო ჯამური რაოდენობა, დაწესებულებას ჰქონდა სამი შენობა, აღჭურვილობა, მატერიალური რესურსი საკმარისი იყო მოთხოვნილი რაოდენობისათვის.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ქუთაისის სამედიცინო სკოლისათვის ავტორიზაციის მინიჭებისა და პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის 500 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის № 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს ქუთაისის სამედიცინო სკოლას (ს/კ 412672157) 6 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (საზოგადოებრივი კოლეჯი) და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა გაენსაზღვროს 500-ით.



2. ა(ა)იპ - ახალციხის საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცხადება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცხადება არ ჰქონდა. სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინეს ექსპერტებმა ეკატერინე გიგაშვილმა და ქეთევან ჯანელიძემ.

საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით დაფიქსირდა შემდეგი ხარვეზები:

- ოფისის მენეჯერი (მდივან რეფერენტი): პროგრამაზე დაშვების პირობა სტანდარტის მიხედვით იყო საბაზო განათლება, ხოლო წარმოდგენილი პროგრამის მიხედვით პროგრამაზე დაშვების წინაპირობა ფორმულირებული იყო არასწორად, მითითებული საბაზო საფეხური ან სრული ზოგადი განათლება. პროგრამის მოცულობა იყო 60 კრედიტი, ერთი კრედიტის მოცულობა 25 საათი, პროგრამის ხანგრძლივობა 36 კვირა, ყოველი სასწავლო კურსი მიმდინარეობდა 18 კვირის განმავლობაში. საწარმოო პრაქტიკის განხორციელება წარმოდგენილი პროგრამის და პროგრამის ხელმძღვანელის განმარტებით მიმდინარეობდა სწავლების პირველი კვირიდან თეორიული სწავლების პარალელურად, ორი სემესტრის 18-18 განმავლობაში. პრაქტიკის ხელმძღვანელის განმარტებით აღნიშნული გახლდათ კოლეჯის ხედვა, ორ სემესტრად განხორციელებულიყო დასაწყისიდანვე პრაქტიკა საწარმოში. რაც შეეხებოდა საწარმო პრაქტიკის განმავლობაში პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემას, წარმოდგენილი პროგრამის მიხედვით შუალედური და დასკვნითი შეფასებებისათვის განკუთვნილი იყო 16 საათი, რაც პროგრამის სასწავლო გეგმითაც დგინდებოდა, მაგრამ შუალედური შეფასებები ხორციელდებოდა ყოველი სემესტრის მე-7 და მე-16 კვირაში, ხოლო დასკვნითი გამოცდისათვის მე-16 კვირაში განსაზღვრული იყო 2 საათი, ხოლო განმეორებითი გამოცდისათვის იმავე კვირაში 2 საათი, სულ 4 საათი დასკვნითი გამოცდისათვის. აღნიშნული სასწავლო პროგრამის ფარგლებში პროფესიული სტუდენტის შეფასების სისტემა ითვალისწინებდა სტუდენტის მიერ დასკვნით გამოცდაზე განმეორებით გასვლის უფლებას ათი დღის ვადაში და არა ერთი კვირის განმავლობაში. წარმოდგენილი პროგრამის მიხედვით, საწარმოო პრაქტიკის ფარგლებში პროფესიულ სტუდენტთა შეფასების კომპონენტები გახლდათ პრაქტიკაზე დასწრება, აქტიურობა, ზეპირი გამოკითხვა, ტესტირება და დასკვნითი გამოცდა. ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში პროგრამის ხელმძღვანელმა წარმოადგინა სილაბუსის ახალი ვერსია, რომელიც ტესტირების ნაცვლად ითვალისწინებდა ზეპირ გამოკითხვას. არცერთი სილაბუსი არ იყო ხელმოწერით დადასტურებული სილაბუსის ავტორის მიერ და ახალი ვერსია არ იყო დამტკიცებული დირექტორის მიერ;
- მცირე ბიზნესის მწარმოებელი: მეოთხე საფეხურის მცირე ბიზნესის მწარმოებლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა იყო 60 კრედიტი - 1500 საათი, სასწავლო კურსები ძირითადად 3, 4 და 5 კრედიტიანი იყო. ერთი კრედიტის მოცულობა 25 საათი იყო, პრაქტიკას ეთმობოდა 24 კრედიტი. ყველა სასწავლო კურსი გახლდათ 18 კვირიანი, სწავლება ორ სემესტრიანი და 54 სასწავლო კვირის განმავლობაში გრძელდებოდა. ზოგიერთი

სასწავლო კურსის სილაბუსი ითვალისწინებდა სასწავლო კურსის შესაბამისი კოდისათვის ადგილს და ჰქონდა კოდი, ზოგიერთს კი არა. პროგრამაში შემავალ სასწავლო კურსებს არ ჰქონდათ განსაზღვრული კურსზე დაშვების წინაპირობები, გარდა საწარმოო პრაქტიკისა, რომლის წინაპირობას წარმოადგენდა თეორიული კომპონენტით განსაზღვრული სასწავლო კურსების გავლა. არცერთი სილაბუსი არ იყო პროფესიული მასწავლებლის ან/და პროგრამის ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერით დადასტურებული;

- ექთნის თანაშემწე: წარმოდგენილ პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში ეწერა, რომ „საგანმანათლებლო პროგრამაზე შეიძლება ჩაირიცხოს პირი, რომელსაც დაძლეული აქვს საბაზო, სრული განათლების საფეხური“, რაც თავისთავად იყო ბუნდოვანი პოტენციური მსურველისათვის და ნიშნავდა რომ ორივე საფეხური აუცილებელი იყო ჩარიცხვისათვის. საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად კი საბაზო საფეხური საკმარისი იყო მესამე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩასარიცხად. პროგრამის ხანგრძლივობა იყო 81 სასწავლო კვირა, 54 სასწავლო კომპონენტისათვის და 27 პრაქტიკისათვის. ყველა სასწავლო კურსის ხანგრძლივობა იყო 18 კვირა, მხოლოდ სასწავლო კურსები „ინგლისური ენა“ და „ექთნის თანაშემწის საქმე“ მიმდინარეობდა 36 კვირის განმავლობაში. საწარმოო პრაქტიკისათვის ექთნის თანაშემწის მესამე საფეხურის სასწავლო პროგრამაში საათები არასწორად იყო განაწილებული. კერძოდ: პროგრამის სასწავლო გეგმაში გათვალისწინებული იყო 36 კრედიტი, 0-საღიქციო საათი, 0-სასწავლო პრაქტიკისათვის, 0-საწარმო პრაქტიკის გრაფაში 10 საათი შეფასებისათვის, ჯამში 1080 საათი, მაგრამ საწარმო პრაქტიკის სილაბუსში მითითებული იყო 36 კრედიტი - 720 საათი და სასწავლო თემებისა და კვირების მიხედვით საათების ჯამი იყო 1080 საათი და შეესაბამებოდა სილაბუსის სხვა ჩანაწერებს. სილაბუსის გაანგარიშებით 720 საათი - 36 კრედიტი, ერთი კრედიტი იყო 20 საათი, ხოლო ამავე პროგრამაში 1080 საათი - 36 კრედიტი, ანუ ერთი კრედიტი იყო 30 საათი. საწარმო პრაქტიკის სილაბუსში დაშვების წინაპირობად განსაზღვრული იყო თეორიული კურსის გავლა, მაგრამ რომელი თეორიული კურსი იყო სავალდებულო წინაპირობა მაგრამ არ იყო გააზრებული თუ რა შემთხვევაში დაიშვებოდა პროფესიული სტუდენტი საწარმო პრაქტიკაზე. პრაქტიკის ხელმძღვანელთან გასაუბრებით გადამოწმდა და დადგინდა რომ დაწესებულება უშვებდა გამონაკლისებს ზოგიერთ შემთხვევაში თეორიული კომპონენტის სრულად დაძლევის გარეშე გაეშვათ სტუდენტი საწარმოო პრაქტიკაზე, პრაქტიკის განხორციელების შესახებ რაიმე რეგულაცია დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა.

საწარმო პრაქტიკის დროს პროფესიულ სტუდენტს საერთოდ არ ჰქონდა შესაძლებლობა დამოუკიდებლად განეხორციელებინა შეზღუდულ შესაძლებლობების მქონე პირთა და ბავშვთა მზრუნველობის მიმართულებით დაედასტურებინა სტანდარტით და პროგრამის მიზნით განსაზღვრული/მოთხოვნილი კომპეტენცია. გარდა ამისა, საწარმოო პრაქტიკის სასწავლო კურსის სილაბუსში პირველ გვერდზე მითითებული იყო პრაქტიკის მასწავლებელი - ფართო პორფილის ექიმი (დავით ბაშარული), ხოლო ბოლო გვერდზე პრაქტიკის ხელმძღვანელად მითითებული იყო ეთერ ხმაღამე.

საწარმო პრაქტიკის შეფასების სისტემა იყო გაუაზრებელი, კერძოდ, პრაქტიკის შეფასება ხორციელდებოდა შემდეგი კომპონენტების საშუალებით: პრაქტიკის დღიურის წარმოება-გამოცხადებით 20 ქულა, პრაქტიკის ანგარიში - 40 ქულა, დასკვნითი გამოცდა 40 ქულა. შესაბამისად საწარმო პრაქტიკის შეფასების კრიტერიუმები იყო პრაქტიკის დღიურის წარმოება და პრაქტიკაზე გამოცხადება. პრაქტიკის ანგარიში მოიცავდა თანდართულ დოკუმენტაციას, ხოლო დასკვნითი გამოცდა ტარდებოდა ტესტირებით. ვერც სილაბუსით და ვერც პრაქტიკის ხელმძღვანელთან გასაუბრებით ვერ დადგინდა კომპონენტის წინასწარ გაწერილი კრიტერიუმების გამჭვირვალობა და გარდა ამისა მისივე განმარტებით ტესტირებით პრაქტიკული კომპონენტის შეფასება იყო არაეფექტური. ინგლისური ენის

სასწავლო კურსის სილაბუსში შესაბამის გრაფაში მითითებული სამუშაო ჯგუფში მუშაობის მასწავლებელი (გოარ ნახაპეტიაძე) აღნიშნული ტერმინი არ შეესაბამებოდა კანონმდებლობით განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლის განმარტებას.

- ფარმაცევტის თანაშემწე: პროგრამის მოცულობა იყო 120 კრედიტი-3600 საათი, სწავლის ხანგრძლივობა თეორიული კომპონენტისათვის შედაგენდა 72 საათს, პრაქტიკული კომპონენტისათვის 48 საათს. საწარმო პრაქტიკის სილაბუსის მიხედვით ვერ დგინდებოდა სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობა, კერძოდ: შეფასებისათვის სასწავლო პროგრამის სასწავლო გეგმაში არ იყო გათვალისწინებული შეფასების საათები, სასწავლო პრაქტიკის სილაბუსის მიხედვით კურსზე დაშვების პირობა არ იყო განსაზღვრული, რაც აჩენდა შესაძლებლობას, რომ სტუდენტს პრაქტიკა გაეცლო თეორიული კომპონენტის გავლის გარეშეც, რაც დადასტურდა გასაუბრების დროს დირექტორის მოადგილის მიერ, ამავდროულად პრაქტიკის ხელმძღვანელმაც. სტუდენტთა შეფასების კომპონენტები იყო პრაქტიკის დღიურის წარმოება და პრაქტიკაზე გამოცხადება, პრაქტიკის ანგარიში, თანდართული სოკუმენტაციის სისრულე და დასკვნითი გამოცდა ტესტის სახით, თუმცა სილაბუსი არ შეიცავდა ინფორმაციას თუ რა ფორმით და კრიტერიუმებით მოხდებოდა აღნიშნულ კომპონენტებში პროფესიული სტუდენტის შეფასება, რა ტიპის ტესტით მოხდებოდა პრაქტიკული უნარების შეფასება ან რამდენად ადეკვატურად შეაფასებდა ტესტი პროფესიული სტუდენტის პრაქტიკულ უნარებს.

ექსპერტების მიერ განხორციელდა ვიზიტი პრაქტიკის ობიექტებზე, სადაც კოლეჯის მიერ საწარმოო პრაქტიკის სილაბუსის მიხედვით იგეგმებოდა ცოდნის გადაცემის და პრაქტიკის განხორციელება. დაწესებულების მიერ საწარმოო პრაქტიკის განხორციელების მიზნით პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებული იყო ხელშეკრულებები. ყველა პროგრამისათვის ხელშეკრულებები იყო სტანდარტულად ერთნაირი ფორმის, შინაარსის. იყო ზოგადი და არ კონკრეტდებოდა შესრულების პირობები, პრაქტიკის ვადები, პრაქტიკის საგანი, მიზანი, ამოცანები და შედეგები. გასაუბრებით დადასტურდა, რომ პრაქტიკის განმახორციელებლები არ იცნობდნენ კონკრეტულად პრაქტიკის სილაბუსს. გარდა ამისა ხელშეკრულების საგანში ეწერა, რომ დამსაქმებელი მოვალე იყო სწავლის დასრულების შემდეგ ეხრუნა კოლეჯის კურსდამთავრებულის დასაქმებაზე რაც თავის მხრივ გახლდათ დისკრიმინაციული ჩანაწერი. კოლეჯის წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგად მათ გამოთქვეს ხელშეკრულებების შეცვლის მზაობა და დაიწყეს აღნიშნულზე მუშაობა.

- დაწესებულების წესდებით განსაზღვრული იყო პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების. შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები; შინაგანაწესის მე-6 მუხლი განსაზღვრავდა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის წესსა და პირობებს, ხოლო ამავე დოკუმენტის 7.1 პუნქტის თანამხმად პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება ხდებოდა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, თუმცა შინაგანაწესში შეტანილი იყო ცვლილება, რომელთა საფუძველზე ბათილად იყო ცნობილი აღნიშნული პუნქტი და ფორმულირებული იყო შემდეგნაირად: პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება ხდებოდა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად კოლეჯის დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანების საფუძველზე. კოლეჯის წარმომადგენელთან გასაუბრებისას დაზუსტდა რომ მიღებისას კონკურსის არსებობის შემთხვევა ჯერ არ იყო დაფიქსირებული, ამიტომ არ იყო გათვალისწინებული კონკურსის არსებობის შემთხვევაში სტუდენტის სტატუსის მოპოვების პროცედურა;

- ხარისხის მენეჯერთან გასაუბრებით დადგინდა, რომ დაწესებულება ყოველწლიურად ატარებდა გამოკითხვებს, ახორციელებდნენ ლექციებზე ურთიერთდასწრებას, მაგრამ

აღნიშნული გამოკითხვების შედეგების ნაწერი ვერსიები, შევსებული კითხვარები ან ურთიერთდასწრების ამსახველი დოკუმენტაცია ვერ იქნა წარმოდგენილი. ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯმენტმა გამოკითხვისას წარმოადგინა ოქმი რომლის მიხედვითაც სტატისტიკურად იყო გადმოცემული გამოკითხულ სტუდენტთა რაოდენობა.

მატერიალურ რესურსთან მიმართებით დაფიქსირდა შემდეგი გარემოებები:

- ა(ა)იპ - „ახალციხის საზოგადოებრივ კოლეჯში“ საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისათვის გამოყოფილი იყო 4 აუდიტორია, სადაც მოთავსებული იყო მერხები და სკამები, მასწავლებლის მაგიდები და დაფები. (სულ 39 მერხი, 79 სკამი, 4 დაფა), ასევე იყო ეგრეთწოდებული პრაქტიკული თვალსაჩინოების ოთახი, რომელიც იყო საკმაოდ პატარა და მოუხერხებელი ლექციის ჩასატარებლად, თუმცა აღნიშნულ ოთახში მრავლად იყო წარმოდგენილი სამედიცინო მულიაჟები, იდგა 7 სკამი, 3 მერხი და 1 დაფა. სასწავლო პროცესში არ გამოიყენებოდა საპროექციო საშუალებები (პროექტორები);
- სველი წერტილები იყო ეგრეთწოდებული „თურქული“, მოუწესრიგებელი იყო წყლის ჩამრეცხი მექანიზმები, ტუალეტები არ იყო მოპირკეთებული და ვერ აკმაყოფილებდა სანიტარულ ნორმებს, ასევე არ არსებობდა ადაპტირებული სველი წერტილები;
- შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ მიუხედავად ბიბლიოთეკის დებულებაში არსებული ჩანაწერისა, რომ ერთ წიგნის ფლობის შემთხვევაში დაუშვებელი იყო წიგნის ბიბლიოთეკიდან გატანა, მთელ რიგ სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა არ იყო შემოწმების დროს ადგილზე. აღნიშნული ეხებოდა ექთნის თანაშემწის, მცირე ბიზნესის მწარმოებლის და ფარმაცევტის თანაშემწის საგანმანათლებლო პროგრამებს;
- კოლეჯში იყო ერთი კომპიუტერული კლასი, სადაც იდგა 7 კომპიუტერი. ამათგან მხოლოდ 4 კომპიუტერი იყო ჩართული ინტერნეტ ქსელში, 5 კომპიუტერი გამოიყენებოდა ადმინისტრაციის თანამშრომლების საქმიანობისათვის;
- კოლეჯის დერეფანში განთავსებული იყო ხანძარსაწინააღდეგო სტენდი შესაბამისი ინვენტარით, ორი ცეცხლმაქრი, რომელთა ვიზუალური დათვალიერებით აღმოჩნდა, რომ ორივე ცეცხლმაქრი იყო გადასამუხტი და გამოსაყენებლად გამოუსადეგარი. კოლეჯის შესასვლელში გაკრული იყო საევაკუაციო გეგმა, რომელიც არ იყო სტანდარტების შესაბამისად შესრულებული და დამტკიცებული;
- დაწესებულების ვებ გვერდი www.axalsazkol.ge ნაწილობრივ ასრულებდა საინფორმაციო და საკომუნიკაციო ფუნქციას, მასზე განთავსებული ინფორმაცია ბევრი დოკუმენტის სრულფასოვნად ნახვის საშუალებას არ იძლეოდა. შესაძლებელი იყო ექვსწლიანი და ერთწლიანი გეგმის ნახვა. ინფორმაციის ნახვა დირექტორისა და ადმინისტრაციის თანამშრომელთა შესახებ. ასევე შესაძლებელი იყო ახალი ამბების დათვალიერება, ხოლო სხვა ინფორმაცია იყო ხელმიუწვდომელი;
- დაწესებულების მიერ შემუშავებული იყო განვითარების გრძელვადიანი 2016-2022 სამოქმედო გეგმა, რომელშიც არ იყო გაწერილი მითითებულ აქტივობებთან და სტრატეგიებთან დაკავშირებით კონკრეტული ვადები, პასუხისმგებელი პირები, დოკუმენტი ატარებდა ზოგადი ნარატიული ტექსტის ხასიათს.

ადამიანურ რესურსთან მიმართებით დაფიქსირდა შემდეგი გარემოებები:

- ექთნის თანაშემწის საგანმანათლებლო პროგრამას სრულად განახორციელებდნენ პროფესიული მასწავლებლები, რომელთაც არ ჰქონდათ ექთნად მუშაობის გამოცდილება;
- პირადი საქმეების შემოწმებისას დადგინდა, რომ ყველა ხელშეკრულება (როგორც პროფესიულ მასწავლებლებთან ასევე ადმინისტრაციის თანამშრომლებთან) გაფორმებული იყო ერთი წლის ვადით, ხოლო წარმოდგენილი პროგრამების ხანგრძლივობა იყო ერთ წელზე მეტი.

ექსპერტმა განაცხადა, რომ დამატებითი დოკუმენტაცია რომელიც დაწესებულებამ გამოაგზავნა ცენტრის საშუალებით და რომელიც სავარაუდოდ მოიცავდა გამოსწორებულ მასალას, მასთან ელექტრონულ ფოსტაზე მოხვდა საბჭოს წინა დღის საღამოს, შესაბამისად ექსპერტმა ვერ მოახერხა სრულყოფილად გაცნობოდა მიწოდებულ დოკუმენტაციას. დოკუმენტაცია მოიცავდა მნიშვნელოვან დეტალებს რაც საჭიროებდა ძველი და ახალი მონაცემების შედარებას და კომპლექსურ მუშაობას. შესაბამისად ექსპერტები თვლიდნენ რომ საბჭო უნდა დაყრდნობოდა პირვანდელ მონაცემებს, კონკრეტულად ვიზიტის შედეგად რაც იყო დაფიქსირებული და ვინაიდან ვერ მოხერხდა ახალ მასალასთან სათანადო მუშაობა მათ უჭირდათ ეთქვათ თუ რამდენად იყო გამოსწორებული მდგომარეობა.

სხდომის მდივანმა განაცხადა, რომ მანაც წინა დღით მიიღო გადმოგზავნილი მასალა და თავი ჩათვალა ვალდებულიად შეედარებინა ძველი და ახალი ვერსიები, ცვლილებები ნამდვილად იყო სახეზე, გასწორებული იყო ძირითადი ნაწილი, მაგრამ მას მიაჩნდა, რომ ექსპერტს რომელსაც არ ჰქონდა ნანახი ახალი ვერსია აღნიშნულ თემაზე მსჯელობა საბჭოზე არ იყო მიზანშეწონილი. ძველი ვერსია გახლდათ ნამდვილად მძიმე და შედეგიც შესაბამისად იქნებოდა არასასურველი. თუ მოხდებოდა უკვე არსებული დასკვნის განხილვა საბჭო ვალდებული იქნებოდა ეხელმძღვანელა წარმოდგენილ ინფორმაციაზე დაყრდნობით. ახალი შესწორებული პროგრამების გაცნობას დასჭირდებოდა ფაქტიურად იგივე დრო რაც საჭირო იყო ავტორიზაციის ვიზიტისათვის. საგანგაშო იყო ასევე ის ფაქტიც რომ დაწესებულებას ავტორიზაციის ვადა გასდიოდა და სტატუსი უწყდებოდა მომდევნო დღეს.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

წარმომადგენელმა თხოვნით მიმართა საბჭოს მიეცათ უფლება გადაედოთ საკითხის განხილვა ვინაიდან ბევრი საკითხი იყო შეუსწავლელი და საჭიროებდა დამატებით მუშაობას.

საბჭოს წევრმა მამია ჯანჯალიამ მიმართა წარმომადგენლებს და განუცხადა, რომ მათ ჰქონდათ საკმარისი დრო იმისათვის რომ მოეყვანათ პროგრამები და დოკუმენტაცია წესრიგში ვინაიდან კოლეჯი იყო მოქმედი და ჰქონდათ საკმაო გამოცდილება. მათ მართებდათ მეტი პასუხისმგებლობა როგორც პროგრამების კუთხით ასევე სტუდენტებთან დაკავშირებითაც.

საბჭოს წევრმა ირაკლი პეტრიაშვილმა განაცხადა, რომ სასურველი იქნებოდა თუ საბჭო შეეცდებოდა დაწესებულებისათვის გაეწია ანგარიში ვინაიდან წყდებოდა იმ სტუდენტების ბედი რომლებიც ამჟამად სწავლობდნენ კოლეჯში.

ექსპერტმა განაცხადა, რომ ფიზიკურად არ იცნობდნენ ახალ მონაცემებს სადაც აუცილებლად იქნებოდა ისეთი დეტალები, რომლებიც დამუშავებული უნდა ყოფილიყო კომპლექსურად სხვადასხვა დოკუმენტაციის შედარებით.

საბჭოს წევრი ირაკლი პეტრიაშვილი დაინტერესდა თუ რამდენი სტუდენტი სწავლობდა ამჟამად კოლეჯში.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დაწესებულებას ჰყავდა 16 სტუდენტი.

ცენტრის წარმომადგენელმა ლევან მადათოვმა განაცხადა, რომ ცენტრი ღია იყო კონსულტაციებისათვის, გარდა სტანდარტული პროგრამებისა ცენტრში ფუნქციონირებდა პროფესიული კვალიფიკაციების განვითარების პროგრამა შესაბამისად არანაირ პრობლემას არ

წარმოდგენდა რეკომენდაციების მიღება სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით. რაც შეეხებოდა ვიზიტს, ის, რომ ერთი კვირით ადრე იყო ვიზიტის თარიღი დაწესებულებისათვის ცნობილი ამას ვერ უარყოფდნენ, ასევე გამოსწორებული მასალაც ცენტრში შემოსულ იქნა წინა დღით. რაც შეეხებოდა გადადების საკითხს დაწესებულებას უნდა გაეთვალისწინებინა, რომ ვადის გასვლა გულისხმობდა, რომ პროფესიულ სტუდენტებს უწყდებოდათ სტატუსი და უნდა ესარგებლათ მობილობით, საგანმანათლებლო დაწესებულებასაც აღნიშნულ პერიოდში ჩამოერთმეოდა საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების უფლება წინააღმდეგ შემთხვევაში საქმე შეეხებოდა სისხლის სამართლის დანაშაულს, თუ დადგებოდა აღნიშნული შედეგი უნდა მომხდარიყო სტუდენტების ინფორმირება. თუ საბჭო მიიღებდა უარყოფით გადაწყვეტილებას, დაწესებულება ერთი წლის მანძილზე ვეღარ შეიტანდა ავტორიზაციაზე განაცხადს, თუ საბჭო მიიღებდა გადაწყვეტილებას დამატებით ვადასთან დაკავშირებით ექსპერტებსაც და საბჭოს წევრებსაც ექნებოდათ შესაძლებლობა გაცნობოდნენ წარმოდგენილ დამატებით დოკუმენტაციას. სტატუსი ამოიწურებოდა ავტომატურად ხოლო რა გადაწყვეტილებასაც მიიღებდა საბჭო წარმოებიდან გამომდინარე დადგებოდა შესაბამისი შედეგი.

საბჭომ იმსჯელა და მიიღო გადაწყვეტილება გადადებული ყოფილიყო საკითხი მომდევნო სხდომისათვის. ვინაიდან ცენტრს შესაძლოა ვერ მოეხერხებინა განმეორებითი ვიზიტის განხორციელება აუცილებელი იყო ფოტომასალითაც გამოსწორებული გარემოებების დადასტურებაც.

სხდომის მდივანმა მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს და განუცხადა, რომ არასერიოზულად მიუდგნენ ავტორიზაციის საკითხს, საბჭო მათ აძლევდათ შანსს რომელიც მაქსიმალურად უნდა გამოეყენებინათ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - ახალციხის საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის მომდევნო სხდომისათვის განხილვის შესახებ, რასაც ერთხმად დაეთანხმნენ საბჭოს წევრები.



3. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინეს ექსპერტებმა თეა შაყულაშვილმა და ქეთევან ჯანელიძემ.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ თეა შაყულაშვილმა განაცხადა, რომ დაწესებულებას სურდა კრიმინალისტიკის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატება.

აღნიშნულ პროგრამებთან მიმართებით არცერთი სტანდარტის თვალსაზრისით ხარვეზები არ ფიქსირდებოდა. დაწესებულებას ჰქონდა სრულფასოვანი კრიმინალისტიკის ლაბორატორია, მაგრამ მიუხედავად ამისა გაფორმებული ჰქონდა ხელშეკრულებები პრაქტიკის ობიექტებთან. კერძოდ: საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან, გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტთან და გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტთან.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ კოლეჯი დაფუძნებული იყო შპს ორიენტირის მიერ, კოლეჯს ჰყავდა აღნიშნული მიმართულებით სტუდენტები, კარგად იცნობდნენ სპეციფიკას. დარგი გახლდათ საკმაოდ მოთხოვნადი, კურსდამთავრებულები კარგად საქმედებოდნენ ძალოვან სტრუქტურებში და თავად დასაქმებულებიც ხშირად გამოთქვავდნენ სურვილს პროგრამის გასაგებლად შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომების მისაღებად. კოლეჯს ჰქონდა ტირის სასერთიფიკატო პროგრამა, რომლის კურსდამთავრებულნიც ასევე გამოთქვავდნენ სურვილს ესწავლათ პროგრამაზე.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ პრობლემას წარმოადგენდა თავად პრაქტიკის ობიექტი, ვინაიდან შინაგან საქმეთა სამინისტრო, პროკურატურა და სხვა ძალოვანი სტრუქტურები პროფესიულ კოლეჯებს ვერ უფორმებდნენ ხელშეკრულებებს, ვინაიდან კანონში არსებობდა ჩანაწერი, რომ მსგავსი ხელშეკრულების გაფორმების უფლება აღნიშნულ ორგანოებს ჰქონდათ მხოლოდ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან. თუმცა არსებობდა ალტერნატივა საკუთარი ლაბორატორიის და სხვადასხვა უნივერსიტეტებთან დადებული ხელშეკრულებები. თუმცა თუკი პროგრამის კურსდამთავრებული გამოთქვავდა სურვილს პოლიციის აკადემიაში სასწავლებლად ასეთი დიპლომის მქონე სტუდენტებს ენიჭებოდათ უპირატესობა.

საბჭოს წევრი ირაკლი პეტრიაშვილი დაინტერესდა რატომ იყვნენ კოლეჯები არათანაბარ მდგომარეობაში, ვინაიდან აღნიშნული ხარვეზი ხელს უშლიდა სტუდენტის კონკურენტუნარიანობას. მისი აზრით მითითებული ხარვეზი თავისუფლად შეიძლებოდა გამოსწორებულიყო, შესაძლებელი იყო საბჭოს ან თავად განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს შეეძლო მიემართა ინიციატივით სამინისტროსათვის.

საბჭოს წევრმა მამია ჯანჯალიამ განაცხადა, რომ თუნდაც რობაქიძის უნივერსიტეტი ვერ დაასაქმებდა სტუდენტს. როდესაც სტუდენტი მიდიოდა საწარმოო პრაქტიკაზე 80% იგი

ითვლებოდა დასაქმებულად, შესაბამისად აღნიშნული საკითხი აუცილებლად დასარეგულირებელი იყო.

საბჭოს წევრი ირაკლი ბაიდაშვილი დაინტერესდა კვოტასთან დაკავშირებული საკითხით.

ექსპერტმა განაცხადა, რომ ვინაიდან აღნიშნული პროგრამები გახლდათ საგნობრივი მათ ავტორიზაციით უკვე ჰქონდათ განსაზღვრული კვოტა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიისათვის პროგრამების დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის № 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 30¹ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიას (ს/კ 406056173) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა
1	კრიმინალისტი (ფოტოდაქტილოსკოპისტი)	მესამე	კრიმინალისტი მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
2	კრიმინალისტი (ფოტოდაქტილოსკოპისტი)	მეოთხე	კრიმინალისტი მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
3	კრიმინალისტი (ფოტოდაქტილოსკოპისტი)	მეხუთე	კრიმინალისტი მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60

4. შპს ორიენტირისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინეს ექსპერტებმა თამარ რემიშვილმა და მაია დანელიამ.

საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით დაფიქსირდა შემდეგი გარემოებები:

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები დამტკიცებული იყო 2016 წლის 8 სექტემბრის №01/90 ბრძანებით. აღსანიშნავი იყო, რომ პროგრამის დამტკიცება მოხდა თვითშეფასების წლიური ანგარიშის განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოდგენის შემდეგ. პროგრამებში ცვლილებების განხორციელების საფუძველი გახდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და სასწავლო კურსების შეფასება. შეფასებისას გამოვლენილ იქნა ის რომ სასწავლო კურსების სწავლის შედეგები, შინაარსიდან გამომდინარე გარდა ცოდნა გაცნობიერებისა გადიოდა ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარზე, დასკვნის უნარზე და ღირებულებებზე. ამიტომ სილაბუსებში მოხდა სწავლის შედეგების ფორმულირების ცვლილება, რამაც გამოიწვია პროგრამების შედეგების რუქის შეცვლა.

ექსპერტის განცხადებით ხარვეზები სტანდარტებთან მიმართებით არ დაფიქსირებული.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ქიმიური სასურსათო პროდუქტების ექსპერტის პროგრამა ხორციელდებოდა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, მათ ჰყავდათ კურსდამთავრებულები და სწორად მათი მოთხოვნა სურვილი გახლდათ შემდეგი საფეხურის დამატება.

სხდომის მდივანმა განაცხადა, რომ აღნიშნული პროგრამებიც გახლდათ საგნობრივი, შესაბამისად კონტიგენტი განსაზღვრული იყო ავტორიზაციისას.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ორიენტირისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის № 99/6 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 30¹ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს ორიენტის (ს/კ 200011904) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა
1	მასაჟისტი	მესამე	მასაჟისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
2	ქიმიური სასურსათო პროდუქტების ექსპერტი	მეხუთე	ქიმიური და სასურსათო პროდუქტების ექსპერტის მეხუთე საფეხურის (უმაღლესი კატეგორიის ექსპერტი) პროფესიული კვალიფიკაცია	60

ბ. ბახტაძე

5. შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ლიდერისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტმა მადონა გოგობერიშვილმა.

ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებას სურვილი ჰქონდა დაემატებინა ბანკის მოლერე-ოპერატორის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.

ექსპერტმა აღნიშნა ასევე, რომ პროგრამა აკმაყოფილებდა სტანდარტებს და არ ფიქსირდებოდა ხარვეზები, წინა წელს აღნიშნულ პროგრამას უთხრეს უარი, ყველა ხარვეზი რომელიც ფიქსირდებოდა წინა ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს იყო გამოსწორებული, შეძენილი ჰქონდათ ფულის სათვლელი მანქანა, ამოსაცნობი, ჩეკები და ყველა ის საჭირო ინვენტარი რაც უზრუნველყოფდა პროგრამის წარმატებით განხორციელებას.

საბჭოს წევრი მამია ჯანჯალია დაინტერესდა თუ რამ განაპირობა აღნიშნული პროგრამის დამატება.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ კოლეჯს ჰყავდა კვოტით განსაზღვრული 130 სტუდენტის ადგილი, სურვილი ჰქონდათ ერთ ცვლაში აღნიშნულ პროგრამაზე მიეღოთ 18 სტუდენტი, რაც გამომდინარეობდა მატერიალური ბაზის გათვალისწინებით. მათ ჰქონდათ ა, ბ და ც გარემო, ბ გარემო შეადგენდა ორ აუდიტორიას, ხოლო ა და ც გარემო იყო ინტეგრირებული, რამდენი გამომთვლელი მანქანაც ჰქონდათ იმის შესაბამის რაოდენობას ითხოვდნენ.

სხდომის მდივანი დაინტერესდა, როგორი იყო დამსაქმებლების დამოკიდებულება, რამდენად იყო შესაძლებელი მათი დიპლომებით ბანკში მუშაობის დაწყება.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მათი გათვლით კურსდამთავრებულები დასაქმდებოდნენ მიკროსაფინანსო ორგანიზაციებში ვინაიდან მათგან იყო ასეთი მოთხოვნა.

სხდომის მდივანმა განაცხადა, რომ სასურველი იყო დაწესებულებას თავდაპირველად ჩაეტარებინა ბაზრის კვლევა რათა უფრო თვალნათელი ყოფილიყო რამდენად შეძლებდნენ სტუდენტები დასაქმებას. მისი აზრით მოლერე-ოპერატორის კურსდამთავრებულებს არ აიყვანდნენ ბანკში. დაწესებულება თავად უნდა ყოფილიყო ორიენტირებული დასაქმებაზე.

სხდომის თავმჯდომარემ წარმომადგენელს მიმართა დაეკონკრეტებინა რამდენი სტუდენტის მიღებას გეგმავდნენ ერთ ცვლაში.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მათ სურდათ 18 სტუდენტის მიღება, შესაბამისად ორ ცვლაში 36 სტუდენტის.
სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ლიდერისათვის ბანკის მოლარე-ოპერატორის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის № 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 30¹ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ლიდერს (ს/კ:417880092) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა:

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	განხორციელების ადგილი
1	ბანკის მოლარე-ოპერატორი	მესამე	ბანკის მოლარე-ოპერატორის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	81	36	ქ.გორი, სტალინის ქ. 15

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ 16:15 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე

ნიკოლოზ ჩაჩხიანი

მდივანი

ირაკლი ბაიდაშვილი